

შპს „კოლიერს ჯორჯია“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

**შპს “კოლიერს ჯორჯიას”
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის**

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	4
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	5
3 საქმიანობის უწყვეტობა	5
4.ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	5
5. ამონაგების აღიარება	5
6. ხარჯების აღიარება	5
7. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები.....	6
8. მოგების გადასახადი.....	6
9. ძირითადი საშუალებები	6
10. არამატერიალური აქტივები.....	6
11. აქტივების გაუფასურება.....	7
12. იჯარა	7
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	7
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	7
15. ბანკის სესხები და ოვერდრაფტები.....	8
16. შენიშვნები	8
დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები -----	14
ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება -----	14

შპს „კოლიერს ჯორჯია“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 31.12.2022 წ დასრულებული პერიოდისთვის

		31.12.2022	01.01.2021
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	135 030	175 121
არამატერიალური აქტივები	5	65 774	73 657
აქტივის გამოყენების უფლება	6	273 134	465 964
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		21 100	-
ჯამურად გრძელვადიან აქტივები		495 038	714 742
მარაგები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	406 394	261 009
გადახდილი ავანსები		53 285	132 345
გაცემული სესხები	8	1 088 357	1 001 852
საგადასახადო აქტივი		303 095	
ფული და ფულადი ექვივალენტები	9	294 033	580 344
ჯამურად მოკლევადიანი აქტივები		2 145 165	1 975 550
სულ აქტივები		2 640 203	2 690 292
ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი			
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		1 737 897	1 507 203
სულ კაპიტალი		1 737 897	1 507 203
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	144 498	
წინასწარ მიღებული დივიდენდი მეკავშირე საწარმოდან	12	-	21 642
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		144 498	21 642
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	213 102	182 039
მიღებული ავანსები	14	246 607	367 105
საიჯარო ვალდებულება	15	297 944	464 380
საგადასახადო ვალდებულებები	16	-	147 769

შპს „კოლიერს ჯორჯია“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მოკლევადიანი სესხები	154	154
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	757 808	1 161 447
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	2 640 203	2 690 292
	12/31/2022	12/31/2021

დირექტორი

ირაკლი კილაურიძე

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

		31.12.2022	31.12.2021
შემოსავალი	17	4 195 199	7 819 023
საპროცენტო შემოსავალი		175 532	104 559
ინვესტიციიდან მიღებული შემოსავალი	12	7 819	76 251
არასაოპერაციო შემოსავალი		62	6 274
სულ შემოსავალი		4 378 612	8 006 107
საერთო მოგება		4 378 612	8 006 107
ხელფასის და პრემიის ხარჯი	18	(2 604 833)	(2 704 133)
პარტნიორებზე გაცემული ჰონორარი		(406 140)	(2 206 779)
საკონსულტაციო და იურიდიული მომსახურება		(110 568)	(367 394)
ლიცენზიის და ბრენდის სახელის გამოყენების უფლება		(202 677)	(151 606)
ტექნიკური მომსახურება		(71 012)	(131 656)
საექვო მოთხოვნის ხარჯი		-	(116 029)
კურსთაშორის სხვაობა		(6 985)	(109 141)
დაზღვევა		(73 314)	(90 285)
ცვეთა		(44 601)	(88 033)
რეკლამის ხარჯი		(59 763)	(59 824)
კომუნალური ხარჯი		(19 296)	(59 664)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(12 122)	(507 368)
საოპერაციო მოგება		767 301	1 414 195
არასაოპერაციო შემოსავალი	19	2 822	
არასაოპერაციო ხარჯები	20	(528 022)	(15 802)
საპროცენტო ხარჯი		(11 407)	(10 714)
მოგება დაბეგვრამდე		230 694	1 387 679
მოგების გადასახადი			
დივიდენდის გაცემა			
წმინდა მოგება (ზარალი)		230 694	1 387 679

დირექტორი

ირაკლი კილაურიძე

შპს „კოლიერს ჯორჯია“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 31.12.2022 წ დასრულებული პერიოდისთვის

	31.12.2022	31.12.2021
მოგება დაბეგრვამდე	230 694	1 387 679
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	44 601	88 033
საპროცენტო ხარჯი	11 407	10 714
ნეტო კურსთაშორის სხვაობა	6 985	109 141
საეჭვო მოთხოვნების რეზერვაცია	-	116 029
მოგების გადასახადი	-	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	293 687	1 711 596
ცვლილებები მარაგში		
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(145 385)	(146 314)
ცვლილებები გადასახდელ ავანსებში	79 060	(28 146)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	31 063	86 332
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	(120 498)	58 557
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	(147 769)	(89 050)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(9 841)	1 592 976
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა		(2 424)
ფიქსირებული აქტივების რეალიზაცია		
არამატერიალური აქტივის შეძენა		
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(2 424)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის აღება	144 498	1 069 962
სესხის გაცემა	(86 505)	(1 323 692)
სესხის ძირისა და პროცენტის გადახდა	(189 796)	(1 197 260)
სესხის ძირისა და პროცენტის მიღება	175 532	597 000
მიღებული დივიდენდი	7 819	92 500
საიჯარო ვალდებულების ძირის დაფარვა	(166 436)	(105 998)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(114 888)	(867 488)
საკურსო სხვაობა	(161 581)	(161 581)
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	(286 311)	561 483
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	580 344	18 861
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	294 033	580 344
	31.12.2022	31.12.2021

დირექტორი

ირაკლი კილაურიძე



შპს „კოლიერს ჯორჯია“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 31.12.2022 წ. დასრულებული პერიოდისთვის

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		119 524	119 524
კაპიტალის ზრდა			-
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	1 387 679	1 387 679
გადახდილი დივიდენდი			-
წინა პერიოდის კორექტირება			-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	1 507 203	1 507 203
კაპიტალის ზრდა			-
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	230 694	230 694
გადახდილი დივიდენდი			-
წინა პერიოდის კორექტირება	-		-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	1 737 897	1 737 897

დირექტორი

ირაკლი კილაურიძე



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

1. ზოგადი ინფორმაცია

„კოლიერს ჯორჯია“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2014 წლის 10 თებერვალს. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის თბილისი. მისი ძირითადი საქმიანობაა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სრული მომსახურების გაწევა უძრავი ქონების მესაკუთრეებისთვის, მოიჯარეებისთვის, დეველოპერებისა და ინვესტორებისთვის. შპს „კოლიერს ჯორჯიას“ სრულ საკუთრებაშია მისი შვილობილი კომპანიები: შპს „კოლიერს ჯორჯია - ველუეიშენ ენდ ედვაიზორი, შპს „კოლიერს ჯორჯია- პროჯექტ ენდ ბილდინგ ქონსალტენს“ი, ააიპ „უძრავი ქონების სკოლა რესქული“.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სამუშაო და წარდგენის ვალუტა არის ქართული ლარი. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

4. ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება მაშინ, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება, მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში, შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

5. ხარჯების აღიარება

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

6. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეული იქნა.

7. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

ახალი, ე.წ. „ესტონური“, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით.

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასიცოცხლო პერიოდები:

- სამხარეულოს ინვენტარი 2 წელი
- კომპიუტერული ტექნიკა 3 წელი
- საოფისე ტექნიკა 3 წელი
- ავტო ინფრასტრუქტურა 5 წელი
- მანქანა-დანადგარები 5 წელი
- საოფისე ავეჯი და სხვა საინვენტარო ერთეული 7 წელი
- მწვანე ნარგავები 10 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით.

ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა და ზარალში.

9. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, 15%-იანი წლიური განაკვეთით. თუ არსებობს რაიმე შანსი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

10. აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმშემთხვევაში, თუ წინაწლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

11. იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდება როგორც გრძელვადიანი. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

14. ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

შენიშვნა 9

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

	12/31/2022	12/31/2021
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	149,997	421,077
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	144,036	159,267
სულ	294,033	580,344

შენიშვნა 7

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	12/31/2022	12/31/2021
დებიტორული დავალიანება	406,394	501,200
საექვო დავალიანების რეზერვი		(240,191)
სულ	406,394	261,009

შენიშვნა 6

18.08.21წ გაფორმებული აქვს საოფისე ფართის საიჯარო ხელშეკრულება, რომელსაც თავისი საქმიანობისთვის იყენებს

ხელშეკრულებით საიჯარო ვადა განსაზღვრულია ქონების ფაქტიური გადაცემიდან 30 თვე მოიჯარის საშუალო შეწონილი ზღვრული სასესხო განაკვეთია 7%

აქტივის გამოყენების უფლება	ოფისი	სულ
ბალანსი 31/12/2021		
დამატება	482,342	482,342
ბალანსი 31/12/2022	482,342	482,342
აკუმულირებული ცვეთა		-
ბალანსი 31/12/2021	-16,377	(16,377)
პერიოდის ხარჯი	-192,831	
ბალანსი 31/12/2022		-

შპს „კოლიერს ჯორჯია“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ნარჩენი ღირებულება	-209,208	(209,208)
ბალანსი 31/12/2021		-
ბალანსი 31/12/2022	273,134	273,134

შენიშვნა 4

ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და მოწყობილობა	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერები	სულ
ბალანსი 31/12/2021	231,254	73,875	191,793	496,923
დანამატები				
აქტივების ჩამოწერა				
გადაფასება				
ბალანსი 31/12/2022	231,254	73,875	191,793	496,923
<u>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</u>				
ბალანსი 31/12/2021	(131,918)	(51,800)	(138,083)	(321,801)
ცვეთა პერიოდისათვის	(19,667)	(14,172)	(9,252)	(40,091)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა				
გადაფასება				
ბალანსი 31/12/2022	(151,585)	(65,972)	(144,335)	(321,801)
ბალანსი 31/12/2021	99,336	22,075	53,710	175,121
ბალანსი 31/12/2022	79,669	7,903	47,458	- 175,122

შენიშვნა 5

არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
საწყისი ღირებულება		
ბალანსი 31/12/2021	113,447	113,447
დანამატები		
აქტივების ჩამოწერა		
გადაფასება		
ბალანსი 31/12/2022	113,447	113,447
აკუმულირებული ცვეთა		

შპს „კოლიერს ჯორჯია“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ბალანსი 31/12/2021	(39,790)	(39,790)
ცვეთა პერიოდისათვის	(7,883)	(7,883)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა		
გადაფასება		-
ბალანსი 31/12/2022	(47,673)	(47,673)
წმინდა ღირებულება		
ბალანსი 31/12/2021	73,657	73,657
ბალანსი 31/12/2022	65,774	65,774

შენიშვნა 11

მიღებული სესხები

	31.12.2022	31.12.2021
ბანკის სესხი	144 498	-
სულ	144 498	-

შენიშვნა 12

წინასწარ მიღებული დივიდენდი მეკავშირე
საწარმოდან

	31.12.2022	31.12.2021
წინასწარ მიღებული დივიდენდი მეკავშირე საწარმოდან	-	21 642
სულ		21 642

შენიშვნა 13

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	182 039	445 410
სულ	182 039	445 410

შენიშვნა 14

მიღებული ავანსები

	31.12.2022	31.12.2021
მიღებული ავანსები	246 607	367 105
სულ	246 607	367 105

შენიშვნა 15

საიჯარო ვალდებულება

	31.12.2022	31.12.2021
დამატება		461 704
საპროცენტო ხარჯი	297 944	2 676

შპს „კოლიერს ჯორჯია“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ნაშთი	297 944	464 380
	-	
შენიშვნა 16		
საგადასახადო ვალდებულებები		
	31.12.2022	31.12.2021
საშემოსავლო გადასახადები		(2 523)
დღგ		150292
სულ	-	147 769
	-	-
შენიშვნა 17		
ამონაგები		
	31.12.2022	31.12.2021
საოპერაციო შემოსავალი	4 195 199	7 819 023
სულ	4 195 199	7 819 023
შენიშვნა 18		
საოპერაციო ხარჯები	31.12.2022	31.12.2021
ხელფასის და პრემიის ხარჯი	2 604 833	2 704 133
პარტნიორებზე გაცემული ჰონორარი	406 140	2 206 779
საკონსულტაციო და იურიდიული მომსახურება	110 568	367 394
ლიცენზიის და ბრენდის სახელის გამოყენების უფლება	202 677	151 606
ტექნიკური მომსახურება	71 012	131 656
საექვო მოთხოვნის ხარჯი	-	116 029
კურსთაშორის სხვაობა	6 985	109 141
დაზღვევა	73 314	90 285
ცვეთა	44 601	88 033
რეკლამის ხარჯი	59 763	59 824
კომუნალური ხარჯი	19 296	59 664
სხვა საოპერაციო ხარჯი	12 122	507 368
სულ ხარჯები	(3 611 311)	6591912
შენიშვნა 19		
არასაოპერაციო შემოსავალი	31.12.2022	31.12.2021
საპროცენტო შემოსავლები	2822	0
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	2822	0
შენიშვნა 20		
არასაოპერაციო ხარჯი	31.12.2022	31.12.2021
არასაოპერაციო ხარჯები	(528 022)	(15 802)
საპროცენტო ხარჯი	(11 407)	(10 714)
სულ	539 429	(26 516)

შპს „კოლიერს ჯორჯია“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება	2022 წელი	2021ელი
დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება	405 140	2 415 437
მიღებული დივიდენდი		92 500
სულ	405 140	2 507 937

დაავშირებულ მხარეთა ოპერაციები

კომპანია არის 100%-იანი წილის მფლობელი შვილობილი კომპანიის, შპს „კოლიერსჯორჯია - ველუეიშენ ენდ ედვაიზორი, რომლის აქციები საჯაროდ არ იყიდება. ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში განხორციელდა 2016 წლის 19 ოქტომბერს 1000 ლარის ოდენობით.

კომპანია არის 100%-იანი წილის მფლობელი ასევე შვილობილი კომპანიების: „შპს კოლიერს ჯორჯია - პროჯექტ ენდ ბილდინგ ქონსალტენსი“ და „ააიპ უძრავი ქონების სკოლა რესქული“.

მიმდინარე სასამართლო დავები

ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის კომპანიას არ გააჩნია მიმდინარე სასამართლო დავა

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად
ნებადართულია 2023 წლის 28 სექტემბერს

დირექტორი:

ირაკლი კილაურიძე

